გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით:

სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკული გამოწვევები

მაგისტრანტი: გიორგი წიკლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი წიკლაური

05.05.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება საპატიმრო გირაოს, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებას, რომლის მიზანია პირის გამოძიებისა და სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა მის მიმართ პატიმრობის გამოყენების გარეშე. საპატიმრო გირაო ერთდროულად უზრუნველყოფს ბრალდებულის თავისუფლების უფლებასა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს იმის განსაზღვრას, შესაბამისობაშია თუ არა საქართველოში საპატიმრო გირაოს სამართლებრივი რეგულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან. ასევე განიხილება, უზრუნველყოფს თუ არა გირაოს ოდენობის განსაზღვრა ბრალდებულის თავისუფლების უფლების ეფექტიან დაცვასა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინტერესების დაბალანსებას.

ნაშრომში გაანალიზებულია საპატიმრო გირაოსთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა, არსებული სასამართლო პრაქტიკა და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ რიგ პრობლემებზე, რომელიც დაკავშირებულია საპატიმრო გირაოს პრაქტიკაში გამოყენებასთან და მათ დასაძლევად წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. კვლევის დასასრულს შემუშავებული რეკომენდაციები მიზნად ისახავს იმ ასპექტების გაუმჯობესებას, რომლებიც ხელს უწყობს საპატიმრო გირაოსთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ლოგიკური, დოგმატური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რაც ხელს უწყობს კვლევის მიზნის

სრულფასოვან მიღწევას. მოცემული კვლევის მეთოდები უზრუნველყოფს საკითხის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ინტეგრირებულ გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივი სახელმწიფო, ბრალდებულის თავისუფლების უფლება, მართლმსაჯულების ინტერესები, აღკვეთის ღონისძიება, საპატიმრო გირაო.

Abstract

This paper concerns the use of bail as a measure of criminal procedural coercion, aimed at securing a person's appearance before investigative and judicial authorities without the need to impose pre-trial detention. Bail serves the dual purpose of protecting the accused's right to liberty while safeguarding the interests of justice.

The objective of this study is to assess whether the legal framework governing bail in Georgia and its practical implementation align with the standards set forth by the European Convention on Human Rights. The paper further examines whether the determination of bail amounts effectively ensures the protection of the accused's right to liberty and achieves a proper balance with the interests of criminal justice.

The study analyzes Georgian legislation concerning bail, current judicial practice, and their compliance with international legal standards. Special attention is given to key challenges encountered in the practical application of bail, and the paper offers specific recommendations to overcome these issues, in line with contemporary legal developments and international standards. The recommendations formulated at the conclusion of the study are intended to improve both the legislative framework and judicial practice relating to bail.

The study employs historical, logical, dogmatic, and comparative legal methodologies, thereby contributing to a comprehensive achievement of the study's objectives. These methods ensure an integrated understanding of the theoretical and practical dimensions of the issue.

Keywords: rule of law, right to liberty of the accused, interests of justice, preventive measure, bail.